საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia

MOH 5 22 00209325 12/08/2022

მოქალაქე ლია ფუტკარაძეს

ქალბატონო ლია,

საქართველოს ოკუპირებული ტერიოტირებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა მიმდინარე წლის 05 აგვისტოს თქვენი N186423 განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია ინფორმაცია მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო პროგრამების შესახებ, ასევე სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლის რაოდენობის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ,,სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების შესაბამისად, ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე.

მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოში) მიმართვა შეუძლია ოჯახს, რომელიც მიიჩნევს, რომ თავისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიხედვით იმყოფება სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში, საჭიროებს დახმარებას და შეიძლება გახდეს ამ დახმარების მიმღები.

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად მონაცემთა ბაზებში („სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა", სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ პირთა სააღრიცხვო ელექტრონული ბაზა და სხვა) დაცულ ინფორმაციაში „მარტოხელა მშობლის" სტატუსის დაფიქსირება არ ხორციელდება. „მარტოხელა მშობლის" სტატუსის მქონე პირთა შესახებ მონაცემთა რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" აღირიცხებიან „მარტოხელა დედის" სტატუსის მქონე პირები. აქვე განვმარტავთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ

ბრძანებით დამტკიცებულ „ოჯახის დეკლარაციაში“ აღნიშნული სტატუსი, სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, უფიქსირდებათ იმ ქალბატონებს, რომელთაც არ ჰყოლიათ მეუღლე, ან არიან ქვრივები და ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილ(ებ)ი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თანდართული ელექტრონული ფაილის (MS_xls ფაილი) სახით, გიგზავნით საჯარო, სტატისტიკურ ინფორმაციას „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული, ასევე, ფულადი სოციალური დახმარების - „საარსებო შემწეობის“ მიმღები, „მარტოხელა დედის“ სტატუსის მქონე პირების შესახებ, რეგიონების მიხედვით, მიმდინარე წლის ივლისის თვის მდგომარეობით.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების
სამმართველოს უფროსი
ანა დარახველიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად